<u>რაიფაიზენ ბანკ ინთერნეიშენალი (RBI), საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში (ICC Georgia), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და თიბისი ბანკი (TBC) თბილისში მართავენ ორდღიან რეგიონალურ კონფერენციას სახელწოდებით: „ სანდო საბანკო მომსახურება: ბიზნესის მდგრადობა შესაბამისობის მეშვეობით“</u>

თბილისი, საქართველო - 5 ნოემბერი 2025

რაიფაიზენ ბანკ ინთერნეიშენალი (RBI), საერთაშორისო სავაჭრო პალატა საქართველოში (ICC Georgia), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და თიბისი ბანკი (TBC) ერთობლივად მართავენ მაღალი დონის საბანკო კონფერენციას და ქსელურ ღონისძიებას, რომელიც ჩატარდება თბილისში, საქართველოში, 2025 წლის 6-7 ნოემბერს თემაზე: **„სანდო საბანკო მომსახურება: ბიზნესის მდგრადობა შესაბამისობის მეშვეობით“**

ეს გამორჩეული ღონისძიება გააერთიანებს რეგულატორებს, ბანკებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე მსხვილ იმპორტიორებსა და ექსპორტიორებს, რომლებიც საქმიანობენ დსთ-ს რეგიონში. მონაწილეებს შორის იქნებიან მაღალი დონის წარმომადგენლები კავკასიიდან, ცენტრალური აზიიდან და ევროპიდან, რაც უნიკალურ შესაძლებლობას შექმნის გამოცდილების გაზიარებისთვის, პარტნიორობების გაღრმავებისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განმტკიცებისთვის.

ორდღიანი პროგრამა მოიცავს ძირითადი გამოსვლების, ექსპერტების პრეზენტაციებისა და ინტერაქტიული პანელური დისკუსიების დინამიურ შერწყმას, რომლებსაც წარმართავენ რეგულატორი ორგანოები და საერთაშორისოდ აღიარებული ბიზნესისა და შესაბამისობის პროფესიონალები. რეალური შემთხვევების განხილვის სესიები გამოკვეთს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ განსაკუთრებულ შემთხვევებს, შესაბამისობის უზრუნველყოფისა და საბანკო სექტორში მდგრადი ზრდის ხელშეწყობის პრაქტიკულ მიდგომებზე ხაზგასმით. ექსპერტულ დისკუსიებს მიღმა, კონფერენცია ასევე განიხილავს, თუ როგორ უწყობს ხელს მდგრადი შესაბამისობის ჩარჩოები ეკონომიკურ განვითარებას, საერთაშორისო ვაჭრობასა და საინვესტიციო ნდობის გაძლიერებას, რაც აძლიერებს სანდოობას და გამჭვირვალობას ფინანსურ ეკოსისტემაში.

International Chamber of Commerce in Georgia
3/29 Polikarpe Kakabadze St
+(995 32) 298 81 76 | www.icc.ge

„კონფერენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას საბანკო სექტორში ნდობის, კეთილსინდისიერებისა და მდგრადობის გაძლიერებისთვის. აზრის ღიღერებისა და პრაქტიკოსების გაერთიანებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ თანამშრომლობის შთაგონებას და პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის ხელშეწყობას რეგიონში,“ — აღნიშნა საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, ფადი ასლიმ.

„RBI-ში გვჯერა, რომ ნდობა და შესაბამისობა არის ძირითადი ელემენტები მდგრადი უთანერთობების შექმნისთვის საბანკო მომსახურებაში. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ეს კონფერენცია გაიმართება საქართველოში — ენერგიულ და მომავლისკენ მომართულ ქვეყანაში, რომელიც აკავშირებს ევროპას, კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს სამომავლო ზრდისთვის, და მოუთმენლად ველით ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავებას ამ მიმართულებით,“ — განაცხადა კრისტიან ნოლმა, RBI-ს ინსტიტუციური კლიენტების, ადგილობრივი ბანკების, PSP-ს და MSB-ის ხელმძღვანელმა.

ორგანიზატორები სიამოვნებით ეპატიჟებიან ყველა საბანკო და ბიზნეს პროფესიონალს, შეუერთდნენ რეგიონში წამყვან ღონისძიებას და წვლილი შეიტანონ შესაბამისი და სანდო საბანკო მომსახურების მომავლის ფორმირებაში.

<u>ღონისძიების დეტალები:</u>

თარიღი: 6-7 ნოემბერი, 2025
ადგილმდებარეობა: Rooms Hotel, მერაბ კოსტავას ქ. 14, თბილისი, 0108, საქართველო
თემატიკა: „ სანდო საბანკო მომსახურება: ბიზნესის მდგრადობა შესაბამისობის მეშვეობით“

<u>ორგანიზატორების შესახებ:</u>

რაიფაიზენ ბანკ ინთერნეიშენალი (RBI) წარმოადგენს ავსტრიისა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ერთ-ერთ წამყვან საბანკო ინსტიტუტს. კორპორაციულ და საცალო საბანკო მომსახურებაზე ძლიერი ფოკუსით, RBI სთავაზობს ფართო სპექტრის ფინანსურ მომსახურებებს ფიზიკურ პირებს, ბიზნესებსა და ინსტიტუციურ კლიენტებს რეგიონის 11 ბაზარზე. ბანკის მთავარი ოფისი მდებარეობს ვენაში და ის ფუნქციონირებს როგორც რაიფაიზენ საბანკო ჯგუფის ცენტრალური ფინანსური სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას თავის ბაზრებზე.

აზიის განვითარების ბანკი (ADB) წარმოადგენს მრავალმხრივი განვითარების მქონე წამყვან ბანკს, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიურ, გამძლე და მდგრად ზრდას აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში. ბანკი თანამშრომლობს როგორც წევრ ქვეყნებთან, ისე პარტნიორებთან რთული გამოწვევების გადასაჭრელად, იყენებს ინოვაციურ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და სტრატეგიულ პარტნიორობას ცხოვრების ტრანსფორმაციისთვის, ხარისხიანი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და პლანეტის დასაცავად. აზიის განვითარების ბანკი დაფუძნდა 1966 წელს და ამჟამად მას ჰყავს 69 წევრი, მათგან 50 რეგიონიდან.

ICC საქართველო — საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საქართველოს ეროვნული კომიტეტი — ქვეყნის ბიზნესსაზოგადოების ერთ-ერთ მთავარი საყრდენია. მისი მისიაა ხელი შეუწყოს ღია საერთაშორისო ვაჭრობას, შექმნას მხარდამჭერი ბიზნესგარემო და წაახალისოს ეკონომიკური ზრდა ადვოკატირების, შესაძლებლობების განვითარების და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზით. ICC საქართველო აძლიერებს ადგილობრივ საწარმოებს, რათა ისინი წარმატებით განვითარდნენ კონკურენტულ გლობალურ გარემოში. საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC) აერთიანებს 46.5 მილიონზე მეტ კომპანიასა და 12,000-ზე მეტ სავაჭრო პალატას 170-ზე მეტი ქვეყნიდან და აქტიურად თანამშრომლობს ისეთ უმაღლეს საერთაშორისო პლატფორმებთან, როგორებიცაა G7, G20, მსოფლიო ბანკი, WTO, WCO და გაერო, რათა მდგრადი და დამოუკიდებელი ბიზნესის ხმა საერთაშორისო დონეზე იყოს დაფასებული და აღქმული.

TBC ბანკი არის საქართველოს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც უკვე სამი ათწლეულის გამოცდილება აქვს ინოვაციური და მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიწოდებაში. წლების განმავლობაში ის იქცა მაღალდიგიტალიზებულ, უნივერსალურ ბანკად, რომელიც გვთავაზობს საცალო, კორპორაციულ და მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურებებს თანამედროვე ბრენდების ეკოსისტემის მეშვეობით. ტექნოლოგიების და წინდახედული სტრატეგიების შერწყმით, TBC აგრძელებს ფინანსური ჩართულობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას მთელ საქართველოში.

ეს პრესრელიზი გამოქვეყნებულია ICC საქართველოს მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

ხატია ბუხრაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი, ICC Georgia
ელ-ფოსტა: Khatia.b@icc.ge
ტელეფონი: 599044077